ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით

ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება

ქ. თბილისი 09.02.2012 წ.

1. ერთი მხრივ, შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია ს/კ 404391136 (შემდგომში-მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის საბა ჯიშიაშვილის სახით და, მეორე მხრივ, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი" (შემდგომში-შემსყიდველი ორგანიზაცია) წარმოდგენილი გიორგი ქურდიანის სახით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მე-9 მუხლის მე -7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

2. <u>ხელშეკრულების საგანი:</u> ტალონური სისტემით საწვავის (დიზელი ლ-62) ნასყიდობა.

3. <u>მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედვით:</u> 8000 ლიტრი დიზელი ლ-62.

4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება: 16480 (თექვსმეტი ათას ოთხას ოთხმოცი) ლარი დღგ-ს ჩათვლით. ერთი ლიტრი დიზელის (ლ-62 PPM50) ფასი - 2.06 (ორი ლარი და ექვსი თეთრი);

5. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საწვავის ფასის გადახდა ხდება წინასწარ. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ტალონების გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, საწვავის ფასის გადახდიდან 3 დღის ვადაში. შემსყიდველის მხრიდან ტალონების გატანაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი გელა მაისურაძე (პ.ნ 01011017911).

6. საწვავის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001-ს შესაბამისად.

7. ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ უფლებამოვალეობების სრულად შესრულებამდე.

8. შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებისა და მიმწოდებლის საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

9. მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ შემსყიდველზე გადადის ტალონების დაზიანების, განადგურების, დაკარგვის რისკი და მიმწოდებელი თავისუფლდება ტალონების გამოცვლის, ან დაკარგვით გამოწვეული რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. შემსყიდველზე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან სხვა სახეობის ტალონებზე გადაცვლას; ტალონით საწვავის გაცემისას დაუშვებელია ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონის ნაწილობრივი განაღდება.
10. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო ერთი მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დ. აღმაშენებლის # 154 საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136 ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"-ს ც/ფ ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის # GE62BG0000000876831000 ბანკი: სს „თიბისი ბანკი"-ს ც/ფ ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიში # GE05TB7538836020100001	**საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვ ცენტრი საქპატენტი** იურიდიული მისამართი: რუსთაველის გამზ. #30 საიდენტიფიკაციო კოდი: 203831363 ბანკი: სს „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი : BAGAGE22 ანგარიშის # GE57BG0000000892218200
გამყიდველის სახელით, ს. ჯიშიაშვილი	მყიდველის სახელით, ბ.ქურდიანი